# ევროკავშირი და საქართველო

#StrongerTogether
#EU4Georgia

2022 წლის დეკემბერი

ევროკავშირმა და საქართველომ ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელი 2014 წელს მოაწერეს და ის სრულად ძალაში 2016 წლის ივლისში შევიდა. შეთანხმება პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს წარმოადგენს.

ამ ურთიერთობიდან მიღებულ მთავარ სარგებელთა შორისაა **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)**, რომელიც საქართველოს ბიზნესსა და პროდუქტებს ევროკავშირის ბაზარს უხსნის.

2017 წლის მარტიდან საქართველოს მოქალაქეები შენგენის სივრცეში **უვიზოდ მოგზაურობენ**.

**ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია** და ის ქვეყნის ამბიციური რეფორმების მხარდასაჭერად გრანტების სახით ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიონ ევროს გასცემს.

2021-2027 წლების პერიოდისთვის **სამეზობლოს, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი – გლობალური ევროპა** (NDICI) ევროკავშირის საგარეო პარტნიორებთან, მათ შორის საქართველოსთან თანამშრომლობის ძირითადი ინსტრუმენტია.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის 2021-2024 წლებისთვის განკუთვნილი გრანტების მოცულობა **340 მილიონ ევროს შეადგენს**. ამ დახმარებას სხვა რეგიონული თუ თემატური პროგრამები და სესხებისა და გარანტიების სახით გაცემული დაფინანსებაც დაემატება.

**2022 წლის 3 მარტს** საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე შეიტანა განაცხადი. **17 ივნისს ევროკომისიამ თავისი მოსაზრება მიიღო**, რომლითაც ევროპულ საბჭოს **საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების რეკომენდაცია მისცა. 2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია და საქართველო კანდიდატის სტატუსს მას მერე მიიღებს, რაც თორმეტ პრიორიტეტულ მოთხოვნას შეასრულებს.**

ევროკავშირი **საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია**, რომლის წილმა ვაჭრობის მთლიან მოცულობაში 2021 წელს 21% შეადგინა. DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი ვაჭრობის მთლიანი მოცულობა 15%-ით გაიზარდა. ერთ სულ მოსახლეზე საგრანტო დახმარების მაჩვენებლით, 2021 წელს საქართველომ ევროკავშირისგან მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი მხარდაჭერა მიიღო.

2017 წელს **ვიზალიბერალიზაციის შემოღების** შემდეგ, ევროკავშირში **ვიზის გარეშე საქართველოს 1,150,000-ზე მეტმა მოქალაქემ** იმოგზაურა.

## ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა

ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ეხმარება **გაძლიერებაში, ეკონომიკის მოდერნიზაციაში, კავშირების გამყარებასა** და საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაში „ავაშენოთ უკეთესად“ პრინციპის ფარგლებში. მომდევნო წლებში ევროკავშირი ინვესტიციებს შემდეგ **საფლაგმანო პროექტებში** განახორციელებს:

- ელექტრობა და მონაცემთა კაბელი შავი ზღვის გავლით
- 80,000 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი 1,000 სასოფლო თემისთვის
- საბორნე კავშირები შავ ზღვაში
- სუფთა ჰაერი და ენერგოეფექტიანობა

## ინსტიტუტები

რეგიონებში მცხოვრებ 90,000-ზე მეტ ადამიანს აქვს წვდომა 200 საჯარო და საბანკო მომსახურებაზე, რომლებსაც ევროკავშირის დახმარებით გახსნილი 76 სათემო ცენტრი უზრუნველყოფს.

## ეკონომიკა

პროგრამის, EU4Business საშუალებით, ევროკავშირი საქართველოში მხარს 19,000-ზე მეტ მცირე და საშუალო საწარმოს უჭერს, რომელთა 24%-ს ქალები ხელმძღვანელობენ. ამის შედეგად შეიქმნა 10,000 სამუშაო ადგილი, პანდემიის განმავლობაში კი 90,000 სამუშაო ადგილი შენარჩუნდა.

**აღდგენა**
**გამძლეობა**
**რეფორმები**

## მწვანე გარდაქმნა

ევროკავშირის ინვესტიციის დახმარებით, საქართველოში დღეს კავკასიაში პირველი ქარის კომერციული ელექტროსადგური მუშაობს.

## საზოგადოება

2014 წლიდან მოყოლებული, სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამებით 11,000-ზე მეტჯერ ისარგებლეს.

## ციფრული სფერო

ევროკავშირი და საქართველო პროგრამის, EU4Digital ფარგლებში ახორციელებენ საპილოტე პროექტებს, რომელთა მიზანიც ევროკავშირთან საერთაშორისო ელ-კომერციის 50%-ით გაზრდაა.

ევროკავშირი განაგრძობს **საქართველოს სუვერენიტეტის** და **ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერას** მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ეს მხარდაჭერა მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის (EUSR) ძალისხმევას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) საქმიანობასა და ევროპის სამშვიდობო მექანიზმის დახმარებას (**20 მილიონი ევრო**) საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო, საინჟინრო და ლოგისტიკის ქვედანაყოფების გასაძლიერებლად.

**ევროკომისია:** ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/ukraine | twitter.com/eu_near
**ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური:** eeas.europa.eu/delegations/ukraine | twitter.com/eu_eeas

EaP | Eastern Partnership

© ევროკავშირი, 2022
ამ დოკუმენტის ხელმეორედ გამოყენება დასაშვებია იმ პირობით, თუ მითითებულია ავტორის ვინაობა და ნებისმიერი ცვლილება (საერთაშორისო ლიცენზია Creative Commons Attribution 4.0). იმ ელემენტების ნებისმიერი სახით გამოყენების ან კვლავწარმოებისთვის, რომლებიც არ არის ევროკავშირის საკუთრება, შესაძლოა საჭირო გახდეს ნებართვის მიღება უშუალოდ შესაბამისი უფლების მფლობელებისგან. ყოველგვარი ვიზუალური მასალა — © ევროკავშირი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.